№ 123 13 ივნისი, პარასკევი 1866—1880 13 ივნისი, პარასკევი № 213.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
... თავში მარცხნივ თ. ... სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ
ღირს ექვსი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ
(„ივერიის“ სამი წიგნი)
ღირს ცხრა მან.
(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ახალი კონფერენცია.

ტფილისი, 12 ივნისს.

მკითხველმა იცის, რომ ამ ერთის კვირის წინათ, ოთხს ივნისს, ბერლინში შეიყარა კონფერენცია უმთავრეს სახელმწიფოთ წარმომადგენელთა. პირველში ეგონათ, ამ კონფერენციაზედ სჯა ყველა იმ საგნებზედ იქნება, რაც ბერლინის კონგრესმა გარდასწყვიტა და ოსმალეთმა კი არ შეასრულაო. მაგრამ ეხლა კი გარდაწყვეტილია, რომ ბაასი ამ შეკრებილობაზედ იქნება მხოლოთ ოსმალეთისა და საბერძნეთის სამზღვრების შესწორებაზედ; არც ჩერნოგორიას, არც სომხეთს ყურადღებას არ მიაქცევენ.

მარტო ეს ამტკიცებს, რა რიგათ შესტკივათ გული სხვა-და-სხვა დიპლომატებს, დაჩაგრულ ხალხთათვის; ჩერნოგორიისა და ოსმალეთს შუა მუდამ განუწყვეტელი შფოთია; სომხეთს ცალკე შიმშილი აწუხებს, ცალკე ავაზაკი ქურთები არ ასვენებენ:— დიპლომატები ამ საგნების განხილვას ერთი-ორის წლით მაინც გადასდებენ და ეხლა კი მხოლოთ ოსმალეთი და საბერძნეთი უნდა მოარიგონ—მეტი არა სცალიანთ.

მოარიგებენ ამ ორს სახელმწიფოს თუ არა, დიდათ საეჭვოა და უფრო საეჭვოა კიდევ აქვთ სურვილი მშვიდობის ჩამოგდებისა თუ არა.

რასაკვირველია, ბევრი ჟურნალ-გაზეთები მხოლოთ ამას გაიძახიან: მადლობა ღმერთს, ეხლა ყველგან მშვიდობიანობა სუფევს, მაგრამ ეს რომ მართალი ყოფილიყო, ასე არ მოიქცეოდნენ, როგორც ეხლა იქცევიან.

რა გადაუწყვეტია ჯერ-ჯერობით ბერლინის კონფერენციას?

გადაუწყვეტია ცალკე ტეხნიკური კომმისია დანიშნოს, რომელმაც ადგილობრივ უნდა გაშინჯოს სამზღვრები, მიჯნები დასდოს; ოსმალეთს თავისი მისცეს, საბერძნეთს თავისი.

ძნელი ეს არის, რომ ამ ალაგებში, მუსულმანები სცხოვრობენ. ოსმალეთის მმართებლობა ამბობს, ეს მუსულმანები ვერ მოითმენენ საბერძნეთის ხელ-ქვეით ჩავარდნას.

სჩანს რომ ცალკე კომმისიას უეჭველათ ჯარი უნდა ჰყავდეს თან ამ მუსულმანების მოსაგერებლათ; ოსმალეთის ელჩს ვენაში გადაუცია პასუხი თავისის მმართებლობისა, რომლითაც ოსმალეთი აცხადებს, მე ვერ ვიკისრებ კომმისიის უვნებელობას, შეიძლება მუსულმანებმა აუტეხონ რამეო.

დიპლომატებს რომ მართლა მშვიდობიანობის ჩამოგდება ნდომებოდათ, ერთხმათ უნდა გამოეცხადათ ოსმალეთისთვის, თუ აგრეა, ჩვენ ყველანი ვიკისრებთ ჩვენის კომმისიის უვნებელობას და თუ ვინიცობაა ბერლინის კონფერენციის სურვილი არ შესრულდება, ჩვენ ყველანი ერთათ შევიძლებთ საბერძნეთის დაფარვასაო. უეჭველია ეს სასტიკი ბრძანება თავისას იქმოდა და ოსმალეთი დაემორჩილებოდა.

მაგრამ ნამდვილი აი რა არის:

ოსმალეთი თვითონვე აქეზებს თვის ქვეშევრდომ მუსულმანებს და, რადგან დარწმუნებულია, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის თანხმობა და ერთსულობა, ძნელათ თუ ჩამოვარდება, მათს გადაწყვეტილებას ყურადღებასაც არ აქცევს, თუ ეს გარდაწყვეტილება მისთვის მავნებელია.

ერთის სიტყვით ოსმალეთს არ ეშინიან დიდთა სახელმწიფოთა თანხმობისა, რადგან ეს თანხმობა შეუძლებელია; ბევრი ამ სახელმწიფოთაგანიც მხოლოთ იმასა სცდილობს, აღმოსავლეთში უწესოება, შფოთი, ომი მოხდეს, რომ სხვის საბძლის დაწვაზედ ხელი მოითბოს.

ამ ორი-სამის წლის წინათ თითქო მართლა ყველას გული შესტკიოდა ოსმალეთისათვის, მაგრამ გათავდა იმითი რომ ინგლისმა კიპრის კუნძული გამოსწირა და ავსტრიამ ბოსნია-ჰერცეგოვინა.

ეხლაც ალბათ ამ ნაალაფევის იმედი აქვთ: კონფერენცია ქაღალდზედ სამზღვრებს დანიშნავს; ოსმალეთი არ დაანებებს; ასტყდება ჩხუბი ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა; დიდი სახელმწიფოები ჩხუბში ჩაერევიან და „მოსარიგებლათ“ კარგს ლუკმას ჩაიგდებენ ხელში.

რომელი სახელმწიფოებიც კი ოსმალეთს გარშემო ახვევიან, ყოველს ომის დროს იმასა ცდილობენ მორიგების შემდეგ ერთი ნაბიჯი მაინცა ჰქონდეთ წინ-წადგმული.

მ.

## ახალი ამბები

—

გუშინ, ხუთშაბათს, სამხედრო ოლქის სასამართლომ, გიორგი მიქელაძის საქმის თაობაზედ გამოიტანა გამამართლებელი განჩინება. გამართლებულს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ბრალდებოდა გულავას მოკვლა და გაცარცვა, და აგრეთვე ნატ. მიქელაძის სახლში დაჭერის დროს წინააღმდეგობის გაწევა. ბრალდებულს იცავდა სამხედრო ადვ. ტურკევიჩი, ამტყუვნებდა პროკურორის ამხანაგი შტ. კაპ. პეტრუშევსკი. თვითონ გამართლებულმა წარმოსთქვა თავის „უკანასკნელი სიტყვა.“ უფრო დაწვრილებით ანგარიშს ამ საქმეზე ამ დღეებში დავბეჭდავთ.

* * *

## ფელტონი

—

### სამეცნიერო საუბარი

პარიჟის ლაზარეთები.—ყვავილის გავრცელება.—პარიჟი და სასაფლაოები.—ათასი თუმნის შაქრის წყალი ფუტკრებისაგან შეჭმული.—ფუტკრის კბენისაგან მკვდარი კაცი.

—

იანვარს აქეთ ამ 1880 წლისა პარიჟში გაიმართა სტატისტიკის ბიურო, ანუ იმისთანა დაწესებულება, სადაც უნდა სიები სდგებოდეს, რამდენი სული დაიბადა, ვაჟი და ქალი, რამდენი დაქორწილდა, რამდენი მოკვდა და რა ავათ-მყოფობით ამა და ამ დროს.

გამოაცხადეს თუ არა ამ ბიუროს გამართვის სურვილი, თვით პარიჟის გაზეთებმაც კი ერთი აურიაქოთი ასტეხეს, რაში გვეჭირვება მაგაების შეტყობაო, ეგ კერძო პირთ ძალის დატანება იქნება, რადგან ბევრს არ უნდა საქვეყნოთ გამოაცხადოს, რომ მისი მახლობელი ნათესავი ამა და ამ ავათ-მყოფობით მოკვდა, ან ამა და ამ დროს შვილი ეყოლაო.

პირველში ბევრსა სჯეროდა ეს ქადაგება, მაგრამ მხოლოთ ხუთმა თვემ გაიარა ამ ბიუროს დაარსების აქეთ და ამ ხუთ თვეშიაც კი ცხადათ დაინახეს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ამ გვარი ცნობების მოკრეფას. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ამ გვარათ შეიძლება გამხილდეს კერძო საიდუმლოება, ეს აზრი სრულებით უსაფუძვლოა, რადგან ქაღალდზედ ის იწერება მხოლოთ რამდენი კვდება, რამდენი იბადება და არა ისა, თუ ვინა კვდება, ვის შვილი ებადება.

რა სარგებლობა მოიტანა ამ დაწესებულებამ?

წრევანდელს ზამთარს პარიჟში ყვავილი გავრცელდა. ჩვეულებრივ ამ ავათ-მყოფობით კვირაში ხუთი-ექვსი კვდებოდა პარიჟში და წრეულს კი ამ რიცხვმა სამოც-ოთხმოცამდე აიწია. ახლად დაწესებულს ბიუროს ჰქონდა მოკრეფილი ცნობები, რომელს სქესს, რომელს ხანს უფრო ემტერება ეს ყვავილი, ან რომელს ნაწილს ქალაქისას.

მაგ. ამ ბიუროს შემწეობით შეიტყვეს, რომ პარიჟის ერთს ნაწილში, რომელსაც სორბონას უბანი ჰქვიან და მდინარე სენის მარცხენა მხარეს მდებარებს წაშორებით უფრო მეტი კვდება, ვიდრე სხვა ქალაქის უბნებთან შედარებით უნდა მომკვდარიყო, მთელის ქალაქის ყვავილით მკვდრები რომ მცხოვრებთა რიცხვის კვალობაზედ გაგვენაწილოთ, ამ უბანს სამის მეტი არ შეხვდებოდა, რადგან მცხოვრებთ რიცხვი ათი ათას სულზედ მეტი არ არის და მთელს პარიჟში კი ორს მილიონამდე ხალხი სცხოვრობს. მართალია, ასე გამოანგარიშებით სამი უნდა შეხვედროდა, მაგრამ ამ უბანში სამის მაგივრათ ორმოც-და-ცხრა სული გადაიტანა თან ყვავილმა.

ამის მიზეზის პოვნა ძნელი არ იყო: სორბონას უბანში არის აშენებული ლაზარეთი საკუთრივ ყვავილიან ავათ-მყოფებისათვის და ყველამ იცის, რომ ყვავილი გადამდები სნეულებაა. თუმცა ეს ლაზარეთი სენას ნაპირას მდებარებს და გარეშემო სუფთა ჰაერი არტყია, თუმცა იმის გარეშემო რამდენსამე მანძილზედ სახლები არა სდგას და მიკარებით არა ვრცელდება ყვავილი, მაგრამ ეტყობა ეს სნეულება ჰაერითაც გადამდები ყოფილა, რომ ასე მოედო ამ უბანს.

გაიგეს თუ არა ყვავილის გავრცელების მიზეზი ამ უბანში, მაშინათვე მოახდინეს განკარგულება ამ ლაზარეთის გადატანისა ქალაქის მეორე ნაწილში. მაგრამ ეს გადატანა სწორეთ სახელზედ მოჭრილის ნაჭრით კალთის დაკერებასა ჰგავდა. მართალია სორბონას უბანში ყვავილმა ნელ-ნელა იკლო, მაგრამ იმ უბანში

გუშინ, 11 ივნისს, ქართულის წარმოდგენის დროს არწრუნის თეატრში მოხდა ერთი უსიამოვნო შემთხვევა.

„პინტოს“ წარმოდგენის შემდეგ ანტრაქტი მეტათ გაგრძელდა; ხალხმა მოუთმენლათ ტაშის კვრა დაიწყო, ფარდა აიხადა და მაყურებლებს შეატყობინეს, ვ. აბაშიძის ავათ-მყოფობის გამო ა. ცაგარელის ახალი დრამის „მათიკოს“ სცენას ვერ წარმოადგენენო. ხალხი საშინლათ უკმაყოფილოთ დაიშალა; ბევრი ამბობდა ამის შემდეგ აღარა ღირს ქართულს წარმოდგენაზედ სიარულიო.

ჩვენ ნამდვილათ შევიტყვეთ, რომ ავათ-მყოფობა არა ყოფილა ამ უსიამოვნო ამბის მიზეზი. ვ. აბაშიძე რაღაც შტრაფებზედ გაჭირვეულებულიყო და ეთქვა, თუ ამა და ამ შტრაფს არ ამხსნით, არ ვითამაშებო.

არ ვიცით ამ საქმეში ვინ არის პასუხის მგები პუბლიკის წინაშე; ამას ვიტყვით მხოლოთ, რომ ასე უმართებულოთ და უწესოთ მოქცევა მაყურებლებთან დიდი სირცხვილია და შეუძლიან ქართულის თეატრის საქმის თანაგრძნობა ხალხში სრულებით მოსპოს.

ვ. აბაშიძემ ისეთი ღონე იხმარა ამ წარმოდგენის დროს, რომ არც-ერთი აკტიორი არ იკადრებს, რომელსაც მცირედიც არის პატივისცემა აქვს საზოგადოებისა; იმ საზოგადოებისა, რომელმაც ამოდენა ხშირათ გარდამეტებული თანაგრძნობა გამოუჩინა ვ. აბაშიძეს.

* * *

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია, რომ გზათ სამინისტრომ გადაწყვიტაო ბათუმში მიმავალი რკინის გზის მიმართულება. ეს გზა სამტრედიის სტანციიდამ გადაუხვევს და შემდეგ პირ-და-პირ ოზურგეთზე გადაივლისო.

დაწვრილებით კი ჯერ-ჯერობით არ არის გამოცხადებული—თუ რა-და-რა ადგილებზე გაივლის ეს გზა, თუმცა, როგორც შევიტყეთ, ინჟინერები ამ ზაფხულში იგზავნებიან ბათუმისაკენ მუშაობის დასაწყებად.

სანატრელია, რომ ამ მხარესაც ის ბედი არ მოუვიდეს, რაც ხშირად ემართება ხოლმე ზოგიერთ ქალაქებს და დასახლებულ ადგილებს, რუსეთში და განსაკუთრებით ჩვენში რკინის გზების გაყვანის დროს, რომ დასახლებული ადგილები განზე არ დააგდონ და, ზოგიერთ კერძო პირების სასიამოვნოთ ანუ სარგებლისათვის, ტყე-ველზე და უდაბნოებზე არ გაიყვანონ ეს გზა...

* * *

ამბობენ, უწმინდეს სინოდის ახალ ობერ-პროკუროს პობედონოსცევს განზრახვა აქესო, რომ რუსეთის ყველა სასულიერო სემინარიებში ებრაული ენის სწავლება მოსპოს და იმის მაგიერად შემოიღოს ექიმობის სწავლა, რადგან ექიმობის ცოდნა მიყრუებულს სოფელში მყოფ მღვდლებისათვის დიდს და თითქმის აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო.

ამ მოკლე ხანში ჩვენ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ — თუ მართლა რამდენად სასარგებლო იქნება სასულიერო სემინარიებში ექიმობის სწავლის შემოღება და კეთილი შედეგი ექნება ამას განსაკუთრებით ჩვენი მხრის მღვდლებისათვის.

* * *

გაუღილ კვრას, 8 მაისს, საქალებო გიმნაზიის ზალაში იყო საზოგადო ყრილობა და აქტი აქაურ ქველმოქმედ საზოგადოების ელემენტარულ შკოლებისა. აქ წაიკითხეს წარსული წლის მოქმედების ანგარიში ზემოხსენებულ საზოგადოებისა და ამასთანავე შედეგი ეგზამენებისა.

სულ საზოგადოების ხარჯით თფილისში შვიდი შკოლაა გამართული; ამათში წელს 22 ქალს შეუსრულებია სწავლა და 9 ვაჟს! ქართული ენის სწავლა ყველაზე უკეთ ხარფუხისა და ვოზნესენის შკოლებში მიდიოდაო.

საზოგადოების წევრთ ბბ. მოძალევსკისა და შახპარონიანს შეუდგენიათ პროექტი—თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ამ შკოლების მდგომარეობა. ამათის აზრით, საჭიროა, რომ სამშობლო ენების სწავლას მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეული; ხელოსნობა ასწავლონ; სავაჟო და საქალებო შკოლები ერთად გაიხსნას; ყვავილის აცრა ვალდებული იყოს ყველა შაგირდებისათვის; შკოლისათვის უფრო ფართო სადგომები დაიჭირონ და სხვ.

როგორც ზევით მოვიხსენეთ, ამ საზოგადოების ხარჯით წელს სულ 7 შკოლა ყოფილა; ამათში 6 საქალო და 1 სავაჟო და ამას გარდა 1 თავშესაფარი სახლი (პრიუტ), რომელშიაც 10 ყმაწვილი ცხოვრობს და სწავლობს.

ყველა ამ შკოლაში 333 ორივე სქესის ყმაწვილი სწავლობდა (253 ქალი და 80 ვაჟი).

1879 წელს საზოგადოების ხაზინას შეადგენდა 12,970 მან., რომლიდამაც 12,350 მან. დახარჯულა. ამ წელს საზოგადოებაში ირიცხებოდა 6 საპატიო წევრი, 38 ნამდვილი და 38 წევრი ქველ-მოქმედი.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი ახალ-სენაკიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვაცნობებდა, რომ ამ მაზრაში ყვავილი გავრცელდა და ამცრელი კი არავინ არისო. მეორე კორრესპონდენტი გვწერს ახლა, რომ ყვავილი ისე არ არის ჩვენკენ გავრცელებული, როგორც იწერებიანო, და ამცრელები თითქმის ყოველ სოფელში მოიძებნებიანო.

* * *

„მმართებლობის მოამბე“-ში დაბეჭდილია უმაღლესის მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ტელეგრამმების ფასი სრულებით უნდა შეიცვალოს მთელს რუსეთის იმპერიაში.

მთელი იმპერია გაიყოფება ამ აზრით სამს ნაწილათ და ყოველი ნაწილი სამს წრეთ. პირველს ნაწილში ორას ვერსზედ მეტი მანძილი არ იქნება შუადან ნაპირებამდე, მეორეში არ იქნება ათასს ვერსზედ მეტი და მესამეში დანარჩენი ალაგი.

პირველს წრეში ათს სიტყვაში აიღებენ ექვსს შაურს, მეორეში—სამს აბაზს და მესამეში—ექვსს აბაზს. ყოველს სიტყვაზედ პირველს წრეში მოემატება ორ კაპეიკ ნახევარი, მეორეში შაური და მესამეში—ორი შაური.

მაგ. თბილისიდან გაგზანილი ათსიტყვიანი ტელეგრამმა გორს, თელავს, სიღნაღს და სხვ. ეღირება ექვსი შაური, ფოთს, ბათუმს და სხვ. —სამი აბაზი და პეტერბურგს, მოსკოვს—ექვსი აბაზი. გარდა ამისა მიიღება ვადიანი ტელეგრამმები, რომელნიც არ მოუცდიან თავის ჯერს და რა დროსაც უნდა მიიტანოს კაცმა, სხვაზედ უწინ გაიგზავნებიან. ამ ვადიან ტელეგრამმებში ერთი სამათ იქნება ფასი გამორთმეული.

ეს განკარუგულება აღსრულდება მხოლოდ-ნახევარ-წლის შემდეგ დამტკიცების დღიდამ.

* * *

რუსული გაზეთი „Берегъ“-ი ამბობს, ამ ცოტას ხანში ფინანსის მინისტრი ბალტიისა და შავის ზღვის ნავთსაყუდრების დათვალიერებას აპირებსო.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

სოფ. ცხინვალი, 30 მაისს. თქვენი მტერი იყოს, მკითხველო, როგორც ჩვენი საქმეა. ძალია შემოგვესია და გვახდენს; სანუგეშო ეს არის, რომ ხალხიცა და მთავრობაც ცდი-

---

კი, სადაც ლაზარეთი გადაიტანეს, იმატა.

ამ მაგალითებმა თითქმის ყველა დაარწმუნა, რომ რომელს უბანშიაც კი ყვავილით ავათმყოფების ლაზარეთია გამართული, იქ ყვავილით სიკვდილიც უფრო ხშირია; ყვავილს გარდა ამავე ზამთარს შეიტყეს, რომ ხუნაგით (დიფტერიტით) უფრო ბევრი იხოცებოდა იმ უბანში, სადაც ხუნაგიანი ბავშვებისთვის ლაზარეთი იყო გამართული.

მაგრამ აი რა არის შესანიშნავი: პარიჟში არის კიდევ მეორე ლაზარეთი ყვავილით ავათმყოფებისათვის—ლაენეკის ლაზარეთი. ამ ლაზარეთშიაც თუმცა ბევრი ყვავილით ავათმყოფი იყო, მაგრამ იმ უბანში კი, სადაც ეს ლაზარეთია, ყვავილით მეტი არ მომკვდარა, რაც სხვა ულაზარეთო უბნებში იხოცებოდა.

მიზეზი ამისი თურმე შემდეგია: სორბონას ლაზარეთი მაღალი სახლია, გარეშემო მდებარე სახლებს გარდასცქერია და ის წვრილი ცხოველები, რომელნიც ყვავილის გაჩენის მიზეზნი არიან, უფრო ადვილათ გადააქვს ქარს. შესანიშნავი არის, რომ რომელი სახლიც კი ამ ლაზარეთის პირ-და-პირ სდგას, იქ ყვავილმა ბევრი შეიწირა და რომელთაც ზურგი აქვთ შემოქცეული ამ ლაზარეთისთვის, მათში ყვავილით ერთიც არ მომკვდარა.

ამას გარდა ეს ლაზარეთი ძალიან უსუფთაოდ არის შენახული. მოსამსახურეები ნაგავს თურმე ეზოში ჰყრიან, შემდეგ მუშები ამ ნაგავს პოვოზკებზედ უდებენ და ისე გააქვთ ქალაქს გარეთ. ნაგავში, რასაკვირველია, ბევრი ურევია ყვავილიანების ქერტლი, რომელიც მორჩენის დროს გასდის ყვავილიანს ტანიდამ და ამ ქერტლს აბრალებენ სნეულების გარდამდებობას. მუშები ნიჩბებით უდებენ პოვოსკებზედ ამ ნაგავს და რასაკვირველია ქარს მსუბუქი ნაგავი შორს მიაქვს, ანიავებს და ამ განიავებულს ნაგავს ქერტლიც თან მიჰყვება.

იმ ლაზარეთში კი, რომელსაც სრულებით არ მოუდვია ყვავილი თავის უბანში, მოსამსახურეები ნაგავს ბუხარში ჰყრიან და ცეცხლი სათაურშივე სპობს ამ გადამდებს სენს. ეს ლაზარეთი ძალიან სუფთათ არის შენახული, სხვა ლაზარეთებზედ მაღლა არა სდგას და ფანჯრების გაღება აღკრძალულია ქუჩებისკენ, მხოლოთ თვითონ ლაზარეთის ბაღის მხარესა აქვთ მიცემული ნება ფანჯრების გაღებისა.

თუმცა ამ გვარის ღონით შეიძლება შემცირდეს ავათმყოფობა და ლაზარეთები იმის ბუდეთ არ გადიქცნენ, მაგრამ მაინც პარიჟში ეხლა ლაპარაკი აქვთ, კარგი იქნება ლაზარეთები სულ ერთიანათ ქალაქს გარეთ გავიტანოთო.

პარიჟის ტოლს ქალაქს უნდა ლაზარეთების გატანა ქალაქს გარეთ, თუმცა ეს ძრიელ სამძიმო იქნება ავათმყოფების პატრონებისათვის და პატარა ქალაქებს უფრო არ შეჰფერით?! პატარა ქალაქებში ეს არც ავათმყოფების პატრონებს გაუჭირვებს საქმეს, რადგან შორს არ მოუვათ მათი გადაყვანა და ყველასთვის კი სასარგებლო იქნება, როგორც თვითონ ავათმყოფებისათვის—კარგი ჰაერი ბლომათ ექნებათ, ისე კარგათმყოფებისათვისაც, რომელთაც გადამდები ავათმყოფების საბუდარი ცოტათი მაინც დაუშორდებათ.

* * *

ლაზარეთების გადატანას გარდა პარიჟში ეხლა ლაპარკი აქვთ აგრეთვე საფუთკრეების გადატანაზედ. ბევრს გაუკვირდება და სწორე მოგახსენოთ, მეც გამიკვირდა, როცა შევიტყე რომ პარიჟში, ამ თვალ გადაუწდომელს ქალაქში, სადაც ადამიანები ძლივს ეტევიან და სახლებს ერთმანერთზედ ხუხულებსავით ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს, როგორც კი ეხერხებათ, კალიის გაწყვეტას. აქ, ცხინვალში წოლაც გააჩინეს: ყოველმა სულმა წონით უნდა ჩააბაროს ზედამხედველს დაჭერილი კალია; ათს კაცზედ ფუთია დადებული.

ძნელი ეს არის, რომ ბევრს არა სჯერა ხალხის ზედ-მოქმედება კალიაზედ, ჰფიქრობენ კალია ღვთისაგან მოსეული ჭირია და ჩვენ ვერას გავაწყობთო; რამდენიმე ქალი და კაცი დაცემულა ქადაგათ და სულ ამას ჰქადაგობენ. მაგრამ ხალხი მაინც ხოცავს, რაც კი შეუძლიან: ხოცვენ რითაც მოხვდებათ, ფიჩხით, ფეხით, თხრილებით, იჭერენ ფარდაგებით და თეთრის ტილოებით.

კალიას სწყვეტავს ხალხი, მაგრამ ხალხსაც ერთი რამ სწყვეტავს წელსა: ვენახები შეუმუშავებელი რჩება, მიწები მოუხნავი და ვერც არაფერსა სთესავს.

ხალხს დრო აღარა რჩება სამუშაოთ; განა არ შეიძლება იმუშაონ კიდეც და კალიაცა სწყვიტონ; ისე კალია ვერ დააზიანებს წრეულობით აქაურს ხალხს, როგორც სიმინდისა და ფეტვის დაუთესაობა; კალია ჯერ კუტია, ერთი ალაგიდგან მეორეზედ სისწრაფით არ შეუძლიან გადასვლა და ხალხიც ძრიელ ძალას უშვება; ახლად გამოსულს გარდა დიდრონს თითქმის სულ ხოცავს და ამიტომ იმედია, რომ წრეულობით ბევრს ვერას დააკლებს ყანებს; ვიდრე ფრთებს შეისხავდეს, კიდეც შემოვა ყანები; მაგრამ, ვიმეორებთ, ნუ უშლიან ზედამხედველები ხალხს მუშაობას, თორემ კალიას მოვრჩებით და სხვა ჭირს შევეყრებით.

ი. ქ.

## წერილი რედაქტორთან

ჩვენ განვიძრახეთ შევადგინოთ „**დამზოგველ-გამსესხებელი ამხანაგობა**“. ვიდრე დაიწერებოდეს და წარსდგებოდეს მმართებლობასთან დასამტკიცებლათ წესდება ამ საგანზედ, დავინახეთ საჭიროთ მოვიწვიოთ მსურველნი მონაწილეობის მიღებისა ამ ამხანაგობაში.

დანიშნულება ამ ამხანაგობისა იქმნება: **დაზოგვა და გასესხება** შემოტანილის ფულისა ურთიერთ-შორის და სარგებლიდგან გადადება, ყოველ წლივ, იმოდენის ნაწილისა, რაოდენიც იკმარებს აღსაზრდელათ ერთის შეუძლებელის ყმაწვილისა.

ჩვენ გვყვანან სახეში ბევრნი მცნობნი, რომელნიც, იმედნეულნი ვართ, თანაგვიგრძნობენ ამ განზრახვაში და რომელთა სია ამასთანავე იგზავნება *). ვიმედოვნებთ, რომ სხვანიც ბევრნი პატივცემულნი პირნი მიიღებენ ამაში მონაწილეობას.

ვითხოვთ, ვინც ისურვებს ამ ამხანაგობაში შემოსვლას, შემოიტანოს, ხსენებულის მიზნისათვის, ფული, ან გამოაცხადოს, რაოდენი ფულით ინებებს მიიღოს მონაწილეობა ამ საგანში; ხოლო არა ნაკლებ ერთის თუმნისა.

ქ-ნა ნინო ორბელიანისა.

თფილისი. 6 ივნისს.

*) ამ წიგნთან ერთად მივიღეთ სიაც ას-ხუთი (105) ქალისა, რომელთაც ამ „ამხანაგობაში“ მონაწილეობის მიღების სურვილი განუცხადებიათ; მაგრამ, ადგილის უქონელობის გამო, ამ სიას გაზეთში ვერ ვბეჭდავთ.

რედ.

## ნარევი

სიღნაღის თავად-აზნაურთა წინამძღომელს შემდეგი წერილი გაუგზავნია თავად-აზნაურთათვის: „სიღნაღის „თავად-აზნაურთა წინამძღომელი მოგიწვევთ თქვენ მოსაპოვებლათ წყაროებისა... შვილების აღსაზრდელათ „10 ივნისს 1880 წელსა.“

ერთს თავადიშვილს ეს რომ წაუკითხავს, ჩაფრისთვის უკითხავს: ბიჭო, განა სიღნაღში წყაროები დაშრა, რომ მარშალი იმათ გამოსაყვანათ გვპატიჟობსო?!

მეორე თავადიშვილს არ მოსწონებია ეს თხოვნა და წყენით უთქვამს: მე რომელი ქანქანი ვარ, რომ წყაროები გამოვიყვანოო.

* * *

**იაპონიის დრო-გამოშვებითი გამოცემანი.** სულ თორმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც იაპონიაში დაიწყეს გაზეთების ბეჭდვა და ამ საქმეს ასე მოკლე ხანს ხალხში ისე გაუდგამს ფეხი, რომ უცხოეთის გაზეთთა კორესპონდენტების სიტყვით, არა თუ მდიდრებს, უკანასკნელ მოსამსახურესაც კი ვერ ჰნახავთ, რომელსამე გაზეთს არ იბარებდეს. ერთი ნემეცური გაზეთი (*Allgemeine Zeitung*) შემდეგს გვაცნობებს ამ გაზეთებზე:

გაზეთს „**შოის**“-ს 1878 წელს **ხუთი მილლიონი** ხელის-მომწერი ჰყოლია, მაგრამ წასულ წელს მოჰკლებია და ეს რიცხვი **ორ მილლიონზე** ჩამოსულა. მეორე გაზეთს „**იომიური შინბუნ**“-ს 1878 წელს **ხუთი მილლიონი** ფურცელი დაუბეჭდავს და 1879 წელს რადგან ხელის-მომწერები **კიდევ** მოჰმატებია, **ექვსი მილლიონი** ნომერი დაუბეჭდავს.

მაშ ნუ გაგიკვირდებათ, რომ ეს უკანასკნელი გაზეთი წელიწადში **ერთ შაურად ღირს!....**

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის **ცხრა** საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეისი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, ზომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი **ბაბაევი** მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

---

გმენ,—რომ პარიჟში ფუთკრებისათვის კიდევ ადგილი დარჩენლიყოს. გასაკვირველია, მაგრამ ნამდვილი ამბავი კია. პარიჟის პოლიციის პრეფექტისათვის შაქრის ქარხნების მქონე პირთ საჩივარი გამოუცხადებიათ მეზობლების ფუთკრები მოსვენებას არ გვაძლევენო; ცალკე მუშებს აწუხებენ, რომელთაც ტიტვლებმა უნდა იმუშავონ ქარხანაში და ტანზედ შაქრის წვენი აქვთ წაგლესილი, ცალკე დიდ-ძალს შაქრის წვენსა სჭამენო. ერთი ქარხნის პატრონი ამტკიცებდა, მეზობლების ფუთკრები წელიწადში ათას თუმნამდე ზარალს მაძლევენო.

ამოდენა ზარალის მიცემა ფუთკრებისაგან კი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ ის კიდევ უფრო ძნელი დასაჯერებელია, რასაც ერთი სწავლული ამბობს ფუტკრებისაგან მოტანილს ზიანზედ და თან უმატებს, ფუთკრები ადამიანის სადგომის ახლოს არ არიან დასაყენებელნიო.

ეს სწავლული ამბობს: ფუთკრების კბენა არამც თუ შემაწუხებელია და ერთს-ორს საათს აწვალებს კაცს, კაცის მოკვლაც ადვილად შეუძლიანო.

იარაღი ფუტკრისა არის ნესტარი, რომელიც მუცლის ბოლოში აქვს დამალული და როცა კბენას დააპირებს, მხოლოდ მაშინ გამოაჩენს; ნესტარში გამოდის გესლი, რომელიც მზადდება ცალკე პარკებში, გროვდება საგუბარში და კბენის დროს იცლება ნესტრის შემწეობით ნაკბენის ტანში.

ამ გესლს, მართალია ბევრი ძალა არა აქვს და მრავალს ფუტკრისაგან ნაკბენს ადამიანს მხოლოდ ნაკბენი ალაგი უსივდება და ორი-სამი საათის შემდეგ უცხრება, მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში ისეთს ალაგს მოსდის ეს ნაკბენი, რომ გაძნელება არ ასცდება.

ფუტკრის ნაკბენისაგან სიკვდილი ორ გვარათ წარმოსდგება: შეიძლება იმისთანა ალაგს უკბინოს კაცს, მაგ. ყელთან, რომ ყელი დაუსივოს, სუნთქვა შეუწყვიტოს და უჰაეროობით დაახრჩოს; შეიძლება აგრეთვე იმისთანა ალაგას უკბინოს, სადაც ტვინი ახლოა, მაგ. პირზედ, კისერზედ, თავში და სხვ., ან რამდენსამე ალაგას უკბინოს და გესლი ბლომად შეურიოს სისხლსა. ორსავე შემთხვევაში ადვილად შეიძლება ფუტკრისაგან დაგესლამ კაცი თან გადაიტანოს.

კიდევ ვიტყვი ძნელათ დასაჯერებელია ფუტკარმა ადამიანი მოჰკლას, მაგრამ ზემოხსენებული სწავლული იმდენს შემთხვევას გვიამბობს და ისე დაწვრილებით, რომ ეჭვის შემოტანა შეუძლებელია.

დავასახელებ მხოლოდ ორს შემთხვევას: ექვსის წლის ბავშვს უკბინა ფუტკარმა მარცხენა საფეთქელთან; ბავშვი ტირილით გაიქცა თავის მამასთან: მამამ ნესტარი ამოართვა; ბავშვს ნაცრის ფერი დაედო, ცივი ოფლი დაასხა; მუხლები აუკანკალდა; თვალები დაუსივდა; სუნთქვა დაუმძიმდა და შემდეგ სრულებით შეუწყდა; ნახევარს საათზედ ფუთკრისაგან კბენის შემდეგ ბავშვი აღარ იყო.

ვენგრიაში ერთს ყმაწვილს კაცს სრულებით ჯანმრთელს გაავებულმა ფუტკარმა კისერზედ უკბინა ისე მწარეთ, რომ ეს კაცი საშინლის ხმით ყვირილს მოჰყვა; მივიდნენ, ნესტარი ამოუღეს, მაგრამ პატარა ხანს უკან წაბარბაცდა და მკვდარი დაეცა დედამიწაზედ.

ეტყობა პაწია ფუტკარი არამცთუ ბავშვებისათვის ყოფილა მავნებელი; ვაჟი-კაცების წაქცევაც კი შესძლებია.

მ.

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ხ ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპექ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# განცხადებანი

—

## ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა 1880 წლის 18 ივნისს, იმის თანდასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი):

ა) ძალუჩი ბალკის პირ-და-პირ წყლის ჩასაშვების გასაკეთებლად და

ბ) გიმნაზიასთან წყლის გასაყვანის მილის გასაკეთებლად.

ვისაც ამ მუშაობის იჯარით აღება ჰსურს, უნდა მოვიდეს ქალაქის გამგეობაში (უპრავაში) ნაშუადღევის 1 საათზე.

დაწერილებით პირობების (კანდიციის) შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ.

(3—1)

## კანტორა
### ოდესის ვაჭრის
## გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჴყიდულობს და ჴყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებლად.

წარმომადგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჴყიდის და ჴყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—14)

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—6)

**სლესარნი ზავედენია** გაიოტალახის ქუჩაში, სერგეი მელიქოვის სახლებში, № 3. ვაკეთებ რკინის ბალკონსა, კიბეებსა, საფლავის მოაჯირებსა შენობისთვის შესაკრავ რკინებსა და აგრეთვე ყოველგვარ ზაკაზსა რკინეულისასა იაფ ფასათ.

ხელოსანი დავით გზირიევი.

(6—3)

**უკანასკნელი გასყიდვა**

თოფები, რეველვერები, დანები, კალმები, დუხები, საპნები, წინდები ჩულქები, ცხვირ-სახოცები და სხვ. და სხვ.

ინგლისურ მაღაზიაში.

(10—4)

**სოფელში და მოგზაურთათვის**

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეტები, ციტრატმაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

—

**წამოსასხმელი! წამოსასხმელი წამოსასხმელი!!**

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—4)

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოიცემა გასასყიდად

**ახალი წიგნი**

ს ა მ წ ე რ ლ ო

## თაიგული

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. ზერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

(3—3)

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა**

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—5)

**პატენტიანი ურნატკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ დუჟინი; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—10)

**ჩ ა ი! ჩ ა ი! ჩ ა ი!**

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?— არწრუნის ქარვასლაში.

(20—5)

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

თიანეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1879 წლისა

1 იანვარს 1879 წელსა იყო:

| | მან. | კ. | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 3,641 | 40 | გასესხებული — — — | 5,947 | „ |
| სასარგებლოთ შემოტან. | 2,310 | „ | ზიანი — — — — — | „ | „ |
| ნასესხი: ა) პირვ. დაწყებ. | „ | „ | დანაშთენი: | | |
| ბ) შემდ. აღებული | 1,410 | „ | ნაღდ ფულათ — — — | 1,447 | 32 |
| სათადარიგო თანხა — — | 223 | 63 | სარგებლიან ქაღალდებათ | 165 | 66 |
| წმინდა მოგება — — — | 319 | 95 | საკრედ. განწესებ. შინა პირველ მოთხოვნამდე — | 125 | „ |
| | | | საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებაში საწევროშესატანი — — — — | 220 | „ |
| | | | ქონების სიაში — — — | „ | „ |
| ჯ ა მ ი — | 7,904 | 98 | ჯ ა მ ი — | 7,904 | 98 |

1879 წელს

| შემოსავალი | | | გასავალი | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 107 | 79 | წილადი ფული — — | 730 | 32 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ანუ ახალი ვადის მიც. დროს — — — | 560 | 49 | მოგება 1878 წ. წილადზე მიცემული — — — | 28 | 50 |
| ჯარიმა — — — — — | 68 | 61 | გასესხებული — — — | 6,126 | „ |
| დაბრუნებული სესხები — | 6,612 | „ | სარგებელი დაბრუნ. ვადაზე წინ გადახდ. სესხისა | 6 | 20 |
| სასარგებ. შემოტანილი — | 100 | „ | სასარგებლ. შემოტანილი | 1,370 | „ |
| ნასესხი: ა) პირვ. დაწყებ. | „ | „ | სარგებელი სასარგებლოთ შემოტანილი ფულისა — | 12 | 26 |
| ბ) შემდ. აღებული | 4,210 | „ | ნასესხი: ა) პირვ. დაწყებითი | „ | „ |
| სათადარიგო თანხა — — | 32 | 4 | ბ) შემდ. აღებული | 3,410 | „ |
| სარგებლიანი ქაღალდები | „ | „ | სარგებელი ნასესხებზე მიცემული — — — — | 222 | 5 |
| სარგებელი სარგებლიანი ქაღალდებისა — — — | „ | „ | სათადარიგო თანხა — — | „ | „ |
| სხვა-და-სხვა შემოსავალი | „ | „ | სარგებლიანი ქაღალდები | „ | „ |
| ალებ-მიცემის შემოსავალი | „ | „ | სარგებელი სარგებლიანის ქაღალდებისა — — — | „ | „ |
| | | | სამმართველოს ხარჯი — | 118 | 54 |
| | | | სხვა-და-სხვა გასავალი — | 23 | „ |
| | | | ალებ-მიცემობის გასავალი | „ | „ |
| ჯამი — | 11,690 | 93 | ჯამი — | 12,046 | 87 |

1 იანვარს 1880 წელს არის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 3,018 | 87 | გასესხებული — — — | 5,461 | „ |
| სასარგებ. შემოტანილი | 1,040 | „ | ზიანი — — — — — | „ | „ |
| ნანესხი: ა) პირველ-დაწყებ. | „ | „ | დანაშთენი: | | |
| ბ) შემდ. აღებული | 2,210 | „ | ნაღდ ფულათ — — — | 904 | 79 |
| სათადარიგო თანხა — — | 255 | 67 | სარგებლიან ქაღალდებ. | 165 | 66 |
| წმინდა მოგება — — — | 352 | 91 | საკრედიტო განწესებულებათა შინა — — — — | 125 | „ |
| | | | საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებაში საწევრო შესატანი — — — | 220 | „ |
| | | | ქონების სიაში — — — | „ | „ |
| ჯამი — | 6,876 | 45 | ჯამი — | 7,876 | 45 |

თავმჯდომარე რჩევისა თ. ბ. ავესაზი

წევრნი რჩევისა: მღ. სიმონ ბადაძე, ალექსანდრე სიზოვი, კონსტანტინე ჯაავარიძე, ზაქარია ახალკაცოვი, ზაქარია ბიაშვილი

მწევრ. გამგებლობისა: ლენკიზო საყვარელიძე, სოლომონ ფიცხელაური, გიორგი გოჯიევი

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხ